




# საშურის მოახბა



№11 (385)

27 მარტი, ორშაბათი, 2023 წელი

— არა ძალაღობას —

## ფემიციდის საწინააღმდეგო საინფორმაციო შეხვედრა



საშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში ფემიციდის საწინააღმდეგო საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელიც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ფემიციდ-

ის დანაშაულების პრევენციას მიეძღვნა. შეხვედრას უძღვებოდნენ საშურის რაიონული პროკურორი არჩილ ბედუკაძე და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი შიდა ქართლის რეგიონში-ხატია ჩიხლაძე.

საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, შეხვედრაზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხორციელებულ აქტივობებზე ისაუბრა.



შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

დარიგდა ანონიმური კითხვარები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები და დაინტერესებული პირები.

## ზემო სერის ტყე-პარკის სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია



საშურში, ზემო სერის ტყე-პარკის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს გარე განათებების, ფანჯარების კონსტრუქციების, სარბენი და ველო ბილიკების მოწყობა, ასევე, მონტაჟდება სხვადასხვა ტიპის დასასვენებელი სკამები, მაგიდები და ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნები.

„ეს პროექტი ძველის და ახლის სინთეზს წარმოადგენს, გვინდა, სივრცე თანამედროვე სტილში მოვაწყოთ, თუმცა, არ ვიფიქრებთ ძველსაც და განვაახლებთ ამფითეატრს, აღვადგენთ მცირე საკალათბურთო ტერიტორიას, პროექტის ფარგლებში, მოვაწყობთ სკეიტბორდის მოედანს და გვაქვს კიდევ უამრავი სიახლე, რაც საშურელი მოსახლეობისთვის სასიამოვნო იქნება, ვფიქრობთ, რეაბილიტირებულ ტყე-პარკს უამრავი ევოლუცია და კომფორტულად დასვენებას შეძლებენ.“- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას საშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.



საშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის-ზვიად ქურდაძისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის ინფორმაციით, პროექტის პირველი ეტაპი, რომლის ღირებულებაც 803 897 ლარია, ერთი თვის ვადაში დასრულდება, მეორე ეტაპის ფარგლებში, პირველ რიგში, ამფითეატრის მშენებლობა გათვალისწინებულია.

ზემო სერის რეაბილიტირებული ტყე-პარკი გართობისა და დასვენების საშუალებას მისცემს როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს, ასევე სტუმრებს.

— დასუფთავების აქცია —

## გაგუფროთხილდეთ გარემოს



წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 22 მარტს, საშურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია გაიმართა, გაიწმინდა:

ხცისის გადასახვევთან, მტკვრისა და სურამულას შესართავთან არსებული ტერიტორია,

ჩუმათელითის მიმდებარედ, ავტობანზე არსებული მონაკვეთი, გაგარინის ქუჩა და ძველ ბაზართან არსებული მდინარე სურამულას სანაპირო.

დასუფთავების აქციაში, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან ერთად, ჩართული იყო საშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ტერიტორიებს, ასევე, დასუფთავებდნენ ა(ა) იპ „საშურსერვისის“ წარმომადგენლები და „სოციალურად დაუცველების დასაქმების ქვე-პროგრამის“ ფარგლებში მომუშავე პირები.

აქცია, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“, კამპანია „ლურჯი ნაკადულის“ ფარგლებში განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ჩართულობით, დასუფთავების აქციები ხშირად იმართება, მიზანი კი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაა.





**შეხვედრა მეწარმე ქალებთან**

გასულ კვირას, USAID-ის წარმომადგენლები, ძლიერი სოფლის პროგრამის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში დაინტერესებულ ორგანიზაციებს და მეწარმე ქალებს შეხვდნენ. საინფორმაციო შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს წევრები და მერიის წარმომადგენლები.

ძლიერი სოფლის პროგრამის საგრანტო კონკურსის მიზანია სათემო ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, მათი თემების ლიდერებად თუ მუნიციპალური განვითარების მამოძრავებელ ძალად ჩამოყალიბება. პროგრამა ხელს შეუწყობს სათემო ორგანიზაციებს, რომლებიც მხარს უჭერენ ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებას, საქმიანობენ გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებებისაგან გამოწვეული შედეგების შემარბილებელი ღონისძიებებისა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემოს ადვოკატირების მიმართულებით.

ნინო ლიპარტელიანი დამსწრეთ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმების ხელშეწყობის შესაძლებლობებზე ესაუბრა, რისთვისაც საჭიროა აქტიური ჩართულობა საერთაშორისო თუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებში.

10 მარტი დიდი ქართველი მწერლის ლევან გოთუას დაბადების დღეა. ტრადიციულად, სამთავროს დედათა მონასტერში, მის საფლავთან შეიკრიბნენ საპატრიარქოს წიხოსანთა საზოგადოების წევრები, ზვიად სეხნიაშვილის მეთაურობით, ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ ლიტერატურული კონკურსის ორგანიზატორები, მწერალი და პოეტი თემურ ჩალაბაშვილი, პედაგოგები და კონკურსის გამარჯვებულები. სურამ - ხაშურის სადროშოდან ღონისძიებას ჩვენი გამარჯვებული გუნდიც შეუერთდა, რომლის კაპიტანია სანიმუშო წიხოსანი, „გმირთა ვარამის“ ზეპირად მცოდნე იმედა მეტრეველი, წევრები: მისი მეუღლე, პედაგოგი თამარ გოგატიშვილი, პაპუნა მადრაძე - ხაშურის მე-7 საჯარო სკოლის წარმატებული მოსწავლე, მარიამ თაბუაშვილი, ხაშურის მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლე, რომლებმაც საუკეთესო შედეგი აჩვენეს

**ხაშურში, ცენტრალურ სკვერში, დიმიტრი ყიფიანის ძეგლი დაიდგმება**

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის განთავსების საკითხებზე იმსჯელეს.

დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის კრიტიკური შეხედულებებისა და საუკეთესო ესკიზის ავტორის გამომგვლენმა სამუშაო ჩგუფმა, ამ მიმართულებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით, ძეგლის განთავსების კრიტიკური შეხედულებები იმსჯელა.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო ჩგუფი დაკომპლექტებულია როგორც მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირებისგან, ასევე, სამუზეუმო გაერთიანების წარმომადგენლებისა და დიმიტრი ყიფიანის შთამომავლებისგან.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის ახლახან ჩაუთარდა რეაბილიტაცია. სამუშაო ჩგუფის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია სკვერში ბიუსტის განთავსება.



**ტრენინგი ინფორმაციის თავისუფლების თემაზე**



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და პოლიტიკის დაგეგმვისა და სამთავრობო კოორდინაციის დეპარტამენტის ინიციატივით, ევროკავშირის პროექტ „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში მიმდინარეობს ტრენინგები ინფორმაციის თავისუფლების თემაზე.

ამჯერად, ტრენინგი შიდა ქართლის რეგიონში ჩატარდა, რომელიც გახსნა მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლები.

ტრენინგს უძღვებოდა ევროკავშირის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ექსპერტი გვანცა მეუნარგია.

ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ გორის, ხაშურის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების, ასევე სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ის თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

პროექტის მიზანია საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის დახვეწა და ამ მხრივ, მუნიციპალური ორგანოების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება.

შეხვედრები მუნიციპალიტეტების და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან უკვე გაიმართა ქვემო ქართლის და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში.



შარშანაც და წელსაც. მწერლის საფლავთან, პანაშვიდის გადახდის შემდეგ გაიმართა გამარჯვებულთა დაჯილდოება. უულოცავთ სურამ-ხაშურის სადროშოს გამარჯვებულ გუნდს, ასევე, წეროვანის საჯარო სკოლის გუნდებს ღირსეულ გამარჯვებას. „გმირთა ვარამი“ არის ჩვენი სამშობლოს სისხლით ნაწერი ისტორია, რომელიც ყველა ქართველმა უნდა იცოდეს. მადლობა ამ საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის ორგანიზატორებს, რომელიც ახალგაზრდებში ეროვნული და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება. ახალგაზრდებს კი მოგიწოდებთ, იკითხეთ ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“, რათა უკეთ იცნობდეთ ქართველ გმირებს და საქართველოს ისტორიას.



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47,48,49,50. 2023წ.#1,2,3, 7, 8, 9, 10)

შოთა ლეონტის ძე ბებიაშვილი დაიბადა 1914 წელს ქ. ხაშურში, იყო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1948 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოტექნიკის კათედრის გამგედ. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი რადიოტექნიკის სხვადასხვა საკითხზე. აღსანიშნავია მისი წიგნები: „საიმედოობის თეორიის საფუძვლები“ (1969), „რადიოტექნიკის საფუძვლები“ (წიგნი I, 1981), „რთულ სისტემათა საიმედოობა“ (1975 წ.), „საიმედოობის თეორიის ელემენტები საშუალო სკოლის ფიზიკის კურსში“ (1981), „რადიოგადაცემა და მიღება“ (1949) და სხვა.

შ. ბებიაშვილი თვითნასწავლი მხატვარია და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ამ მხრივაც... მის მრავალრიცხოვან ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშობლიური ქვეყნის პეიზაჟებს.

არაერთი სურათი მიუძღვნა მშობლიურ ხაშურის რაიონსაც („ჩუმათელეთი“ (1960), „ქვიშხეთი“ (1962), „სურამის ციხე“ (1962), „ქვიშხეთი“ (1963), „სურამის ციხე“ (1964), „სალამო სურამში“ (1964), „ქვიშხეთის ციხე“ (1964), „გვერდისუბანი“ (1965), „ხაშურის მიდამოები“ (1965), „წრომის ეკლესია“ (1965), „სურამის ქედი“ (1966), „ქვიშხეთი“ (1969), „სოფელი ბეკამი“ (1967), „ქვიშხეთის მთაწმინდა“ (1961), „ხაშური“ (1964) და სხვა.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იყო იოსებ იუზას ძე ბიბილოვი, რომელიც დაიბადა 1960 წელს. წარჩინებით დაამთავრა ხაშურის I საშუალო სკოლა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1991 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1992 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის ხაშურის რაიონული განყოფილების უფროსად, ხოლო 1998 წლიდან – სამმართველოს უფროსად. გამოქვეყნებული აქვს სტატიები, არის ერთი წიგნის თანაავტორი. გარდაიცვალა 2001 წელს.

საინჟინრო წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ცნობილი მშენებელ-ინჟინერი მიხეილ ალექსისი ძე ბითაძე. იგი დაიბადა 1900 წელს ქ. ხაშურში. აქვე მიიღო საშუალო განათლება, ხოლო 1931 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

მიხეილ ბითაძემ სახელი გაითქვა, როგორც ნაგებობათა ფუძე-საძირკვლების მშენებლობის სპეციალისტმა. იგი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის სამშენებლო-საპროექტო ორგანიზაციაში, საქართველოს გზატკეცილების სამმართველოში (1936), თბილისის სატყეო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (1937).

1938 წლიდან მ. ბითაძე კრასნოიარსკის მხარეში, ქ. ნორილსკში მოღვაწეობდა. აქ იგი, როგორც ინჟინერი, აქტიურად ებმება ამ ქალაქის სამრეწველო და სამოქალაქო ნაგებობების მშენებლობებში, ხელმძღვანელობს შახტებისა და სხვა მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტებას და სხვა.

1959 წლიდან მონაწილეობდა მუდმივად გაყინულ გრუნტებზე მკაცრ კლიმატურ პირობებში ნაგებობათა საძირკვლების რაციონალური კონსტრუქციების დამუშავებასა და დანერგვაში, რისთვისაც 1966 წელს სხვებთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია. იგი ავტორია წიგნისა „საძირკვლების მშენებლობის თავისებურებანი“ (1962). ცნობილი ეკონომისტი ესტატე სანდროს ძე ბოლოკაძე დაიბადა 1937 წელს ქ. ხაშურში. 1956 წელს დაამთავრა რკინიგზის ხაშურის №12 საშუალო სკოლა. იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, სწავლობდა ცენტრს უზის მოსკოვის კოოპერაციულ ინსტიტუტში.

1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1969-1974 წლებში მუშაობდა საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, იმავდროულად სწავლობდა ინსტიტუტის ასპირანტურის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამომხმარებლო კოოპერაციის ფინანსების საკითხებზე, ხოლო 1987 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სასაქონლო მიმოქცევის სფეროს მთლიანი შემოსავალი და ხარჯები“.

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს 1974 წლიდან უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, ხოლო შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე. 1988 წლიდან არის უნივერსიტეტის საქონელმომოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის კათედრის გამგე. გამოქვეყნებული აქვს 70-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მისი ინიციატივითა და თაოსნობით უნივერსიტეტში შეიქმნა სპეციალობა „მარკეტინგი“, ხოლო 1995 წელს მისივე ავტორობით გამოიცა პირველი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელო ამავე სახელწოდებით.

პროფ. ე. ბოლოკაძის ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით მომზადდა და დაცულ იქნა 15 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. არის საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1998 წელს გადაეცა „ღირსების ორდენი“.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ აკაკის ძე გასიტაშვილი 1957 წელს დაიბადა ხაშურში. დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, პოლიტექნიკური ინსტიტუტი. საკანდიდატო დისერტაცია 1984 წელს დაიცვა, ხოლო სადოქტორო - 1987 წელს. 1995 წლიდან ირჩევენ პროფესორად. 2001 წლიდან არის „სტრატეგიული კვლევითი ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი, მრავალი ნაშრომის ავტორი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ პეტრეს ძე გელაშვილი. 1927 წელს დაიბადა ქ. ხაშურში. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. მისმა ნაშრომებმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული მედიცინის განვითარების საქმეში. ა. გელაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლას.

თეიმურაზ ვარლამის ძე გურგენიძე დაიბადა 1943 წლის 1 თებერვალს, ქ. ხაშურში. სწავლობდა ხაშურის რკ. №3 საშუალო სკოლაში, შემდეგ ქ. თბილისის №35 ხაშურის სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1959 წელს.

თ. გურგენიძემ 1966 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ხოლო 1975 წელს მოსკოვის პლენხანოვის სახელობის ინსტიტუტი.

თ. გურგენიძემ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1959 წლიდან აგარის საკონსერვო ქარხანაში. იყო მუშა, ცვლის ტექნოლოგია, საამქროს უფროსი, ლაბორატორიის გამგე. 1974-76 წლებში იყო ამავე ქარხნის დირექტორი. 1976-77 წლებში არის ქარელის ხ/კ ღვინის ქარხნის დირექტორი. 1981-83 წლებში საქართველოს შაქრის კომბინატის დირექტორის მოადგილეა, ხოლო 1983-84 წლებში ქარხნის დირექტორი. 1984-87 წლებში მუშაობდა ქ. ხაშურის საკონსერვო ქარხნის წარმოების უფროსად, ხოლო 1989 წლიდან იყო აგარის საკონსერვო ქარხნის მთავარი ინჟინერი.

თ. გურგენიძემ 1988 წელს უკრაინის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. არის რამდენიმე მეცნიერული შრომის ავტორი. გარდაიცვალა 2003 წელს.

ცნობილი მათემატიკოსი და ლიტერატორი თამაზ ამბერკის ძე ებანოიძე დაიბადა 1931 წლის 24 მარტს ზესტაფონის რ-ნის სოფ. ძირულაში. 1948 წელს წარჩინებით დაამთავრა ხაშურის II (ვაჟთა I) საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1953-56 წლებში, იქვე გაიარა დიფერენციული და ინტეგრალური განტოლების კათედრებზე ასპირანტურის კურსი.

1965 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მუშაობდა მატემატიკის ინსტიტუტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. კითხულობდა ლექციების კურსს უმაღლეს მათემატიკაში. მინიჭებული აქვს დოცენტის და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო წოდებები.

თ. ებანოიძის კალამს ეკუთვნის 40-მდე მეცნიერული ნაშრომი მათემატიკური პრობლემატიკის სფეროში, მათ შორის რამდენიმე წიგნია.

თ. ებანოიძე მუშაობდა საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში წამყვან სპეციალისტად. ამავე პერიოდში ლექციებს კითხულობდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში.

თ. ებანოიძე ეწეოდა ნაყოფიერ ჟურნალისტურ საქმიანობას. ხშირად იბეჭდებოდა რესპუბლიკურ პრესაში („საქართველოს რესპუბლიკა“, „თბილისი“, „ლიტერატურული საქართველო“ და სხვა), მისი არაერთი სატირული-უმორისტული ლექსი და პროზაული ნაწარმოები გამოქვეყნებულია ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზე. გარდაიცვალა 2013 წელს.

როლანდ (გელა) იოსების ძე გელაშვილი დაიბადა 1938 წელს, ხაშურში. დაამთავრა მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი. 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1981 წლიდან იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობის კათედრის დოცენტი. არის 29 სამეცნიერო ნაშრომისა და 5 დამხმარე სახელმძღვანელოს და მეთოდური მითითებების ავტორი. გარდაიცვალა 1990 წელს.

იუზა ბაგრატიის ძე გვენეტაძემ 1956 წელს დაამთავრა რკინიგზის ხაშურის №12 ვაჟთა საშუალო სკოლა, 1961 წელს - გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1967-1994 წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის თანამშრომელი იყო. 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ახალციხის წარსული და აწმყო“. გარდაცვალების (1994 წ.) შემდეგ დაიბეჭდა ი. გვენეტაძის მონოგრაფია, რომელშიც შესწავლილია საქართველოში საპარლამენტო მოძრაობისა და პოლიტიკური პარტიების ისტორია 1905-1907 წლებში.

ნინო გუზანის ასული გვენეტაძე დაიბადა ქ. ხაშურში 1964 წელს. დაამთავრა ხაშურის III საშუალო სკოლა, თსუ იურიდიული ფაკულტეტი (1990), სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა (1993), იყო იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრი (1994-98 წწ.); ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე (1998-1999 წწ), თსუ სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი და ასოცირებული პროფესორი. იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლე (1999-2006 წწ), მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წევრი (2005 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (1995). არის ავტორი სამეცნიერო შრომებისა: „თანამონაწილეობის სახეები საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართალში“ (1995წ.), „თანამონაწილეობის სახეების კლასიფიკაციის ისტორიისათვის“ (1994 წ.). თანაავტორი წიგნისა: „პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის“ (გ. მამულაშვილთან ერთად, 2000). არის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი (1994წ.).

ხაშურში ერთ-ერთი ცნობილი და ძველი საგვარეულოა თომბაძეები. ამ გვარმა არაერთი სახელოვანი შვილი გაუზარდა საქართველოს.

ცნობილი ლიტერატორი იყო მარგო ალექსანდრეს ასული თომბაძე. (დაიბადა 1910 წელს) დაამთავრა ხაშურის I საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მარგო თომბაძემ მოზარდი თაობის აღზრდას მიუძღვნა. იგი საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, როგორც ჟურნალისტი, საბავშვო მწერალი, საზოგადო მოღვაწე. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მუშაობდა საქართველოს განსახელოვან არსებულ მთიელთა საბავშვო სახლში პედაგოგად. 30-იან წლებში ქართული საბავშვო გაზეთის – „ნორჩი ლენინელის“ ჩამოყალიბების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სახელთან. წლების მანძილზე მუშაობდა ამ გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად, რედაქტორად. იყო ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი. სამამულო ომის წლებში მ. თომბაძე თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორია. დიდხანს მუშაობდა ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორის მოადგილედ. ხელმძღვანელობდა გაზეთ „ნორჩ ლენინელთან“ შექმნილ ნორჩ ლიტერატორთა გაერთიანებას „ენძელას“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

რას გულისხმობს სოციალურად  
დაუცველთა საზოგადოებრივ  
სამუშაოებში ჩართვის  
პროგრამა?



საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია.

პროგრამა სოციალურად დაუცველ პირებს სთავაზობს რამდენიმე ალტერნატივას:

- საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიას;
- ღია შრომის ბაზარზე ატვირთულ ვაკანსიას;
- თუ დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, დასაქმების ფორმალისებებს;
- პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებში ჩართვას.

პროგრამაში ჩართვით სოციალურად დაუცველი პირი იღებს საშეღავათო პირობებს - 4 წლის განმავლობაში და მისი სოციალური სტატუსი არ გადამოწმდება.

ვის შეუძლია საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა?

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ, 18 წლის და უფროსი ასაკის პირს საპენსიო ასაკამდე, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს.

მსურველები არ უნდა იყვნენ პარალელურად დასაქმებულები კერძო სექტორში ან თვითდასაქმებულები.

ვის და რომელ დამსაქმებლებს შეუძლიათ საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში ვაკანსიების მოწოდება?

საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ ვაკანსიების მოწოდება შეუძლია, სახელმწიფო ორგანოს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ან მის მმართველობის სფეროში მოქმედ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ასევე, საჯარო სამართლის პირს ან სხვა ნებისმიერ აღმინისტრაციულ ორგანოს.

რა გამოცდილება, კვალიფიკაცია და განათლება სჭირდება საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვისთვის მოქალაქეს?

საზოგადოებრივი სამუშაოს მსურველ პირებს პროგრამაში ჩართვად არ სჭირდებათ გამოცდილება, კომპეტენცია ან შესაბამისი განათლება. სამუშაოების მიზანია მოქალაქეებს შემოსავლების ზრდის პარალელურად, სამსახური მათ შრომითი უნარების გამოუმუშავებასა და გამოცდილების დაგროვებაში დაეხმაროს.

როგორი ვაკანსიებია საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში?

საზოგადოებრივი სამუშაოები გულისხმობს მაგალითად: ბიბლიოთეკარის დამხმარეს, მეტყვევე, მეზოვე, სკოლის დამლაგებელი, მზარეულის არაკვალიფიციური დამხმარე, ზედამხედველის დამხმარე, დარაჯი, კურიერი, ტერიტორიების კეთილმოწყობის გამწვანებისა და დასუფთავების თანამშრომელი და ა. შ.

შეუძლია თუ არა სოციალურად დაუცველი ოჯახის რამდენიმე წევრს ერთდროულად ჩართოს საზოგადოებრივ სამუშაოებში?

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია ოჯახის ერთ ან მეტ წევრს. რაოდენობა შეზღუდული არ არის.

ტერიტორიულად სად შეუძლია დასაქმდეს პროგრამით მოსარგებლე პირი?

სოციალურად დაუცველ პირს საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა შეუძლია იმ მუნიციპალიტეტში, სადაც რეგისტრირებულია და იღებს სოციალურ გასაცემებს.

როგორი სამუშაო გრაფიკია საზოგადოებრივ სამუშაოებზე გამოცხადებულ ვაკანსიებზე?

საზოგადოებრივი სამუშაოებში ჩართვის მსურველ პირებს შეუძლიათ დასაქმდნენ სრული ან ნახევარი განაკვეთით.

მაგალითად: სრული განაკვეთის სამუშაო გრაფიკს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ისეთი სამუშაო, რომელიც მოიცავს:

- ა) კვირაში 5 სრულ სამუშაო დღეს, სტანდარტული 5-8 საათიანი

გრაფიკით (ან დამსაქმებლის სამუშაო დღეების შესაბამისად);

ბ) კვირაში 7 არასრულ სამუშაო დღეს არასტანდარტული 3-4 საათიანი გრაფიკით;

გ) მოქნილი სრული განაკვეთის შემთხვევაში კვირაში 4-5 სამუშაო დღე 8 საათიანი გრაფიკით;

დ) 4 დღეში ერთხელ მუშაობა 24 საათიანი გრაფიკით; ნახევარი განაკვეთის სამუშაო გრაფიკს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ისეთი სამუშაო, რომელიც მოიცავს:

ა) კვირაში 5 სამუშაო დღეს 4 საათიანი გრაფიკით; (ან დამსაქმებლის სამუშაო დღეების შესაბამისად)

ბ) თვის განმავლობაში დღე-მონაცვლეობით მუშაობას 8 საათიანი გრაფიკით;

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის დროს სოციალური გასაცემელი სრული განაკვეთით მუშაობის შემთხვევაში განსაზღვრულია 300 ლარის ოდენობით, ნახევარი განაკვეთით დასაქმების შემთხვევაში კი, 150 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, მოქალაქე სრული განაკვეთით მუშაობისას განსაზღვრული 20 დღის ნაცვლად იმუშავებს ათ დღეს, მიიღებს ათი დღის სოციალურ გასაცემებს.

სად მოხდება დასაქმებული პირის მიერ გამოუმუშავებული თანხის დარიცხვა?

სოციალური გასაცემელი დაირიცხება იმ საბანკო ანგარიშზე, რომელზეც ირიცხება სოციალური შემწეობა.

მოეხსნება თუ არა რომელიმე სოციალური შეღავათი იმ პირს, ვინც საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩაერთვება?

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება. სტატუსის ჯავშანი შეუნარჩუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ ის ღია შრომის ბაზარზე გადამისამართდება და უფრო მაღალ ანაზღაურებად სამსახურში დასაქმდება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის შემდეგ, პროგრამით მოსარგებლე პირს შეუძლია თუ არა პარალელურად ღია შრომის ბაზარზე დასაქმება?

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართულ პირს პარალელურად ღია შრომის ბაზარზე დასაქმება არ შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით მოსარგებლე პირი მოისურვებს უკეთესი ანაზღაურების მქონე ვაკანსიის მოძიებას გადამისამართდება კერძო სექტორში, ის საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამას ჩაეხსნება, თუმცა 4 წლიანი ჯავშანი და სხვა შეღავათები შეუნარჩუნდება.

სად/რომელ უწყებაში შეუძლია საზოგადოებრივი სამუშაოებით დაინტერესებულ პირს დაზუსტებული ინფორმაციის მიღება არსებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით? ვის უნდა მიმართოს დასაქმების მსურველმა?

პირველ რიგში, საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის მსურველი პირი აუცილებელია, რომ რეგისტრირებული იყოს პროგრამით მოსარგებლეთა ბაზაში. სამუშაოებში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, გაარკვიოს არის თუ არა პროგრამით მოსარგებლეთა სიაში. სტატუსის დაზუსტების შემდეგ კი ბენეფიციარს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს კონსულტანტი, შესთავაზებს მისი რეგისტრაციის შესაბამის ტერიტორიულ არეალში არსებულ ვაკანსიებს, ჩაუტარებს მოკლე აღწერას არსებული ვაკანსიისა და პროგრამის შესახებ. დაინტერესების შემთხვევაში მას გადაამისამართებს დამსაქმებელთან, მაგალითად: სკოლის დირექციას, აიპ, სსიპ ან მუნიციპალიტეტი. მხარეთა შეთანხმების შემდეგ ბენეფიციარს უფორმდება სამმხრივი სოციალური ხელშეკრულება და ერთგვება პროგრამაში.

რა მოხდება თუ ბენეფიციარი თავისი ნებით უარს იტყვის საზოგადოებრივ სამუშაოზე?

პროგრამით მოსარგებლე პირი თუ თავისი ნებით ჩაეხსნება პროგრამას, ავტომატურად მას 4 წლიანი ჯავშანი გაუუქმდება და მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება. ასევე, თუ სოციალურად დაუცველი პირი არაჯეროვნად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას საზოგადოებრივი სამუშაოს ფარგლებში, მონიტორინგის სამსახური მოახდენს იდენტიფიცირებას და მასთან ხელშეკრულება შეწყდება.

თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმების პროგრამაში ჩართვა არ სურს, უწყდება თუ არა სოციალური შემწეობა? შეუძლია თუ არა სოციალურად დაუცველ მოქალაქეს თავდაპირველი გადაწყვეტილების შეცვლა? დასაქმების პროგრამაში მოგვიანებით ჩართვა ან პროგრამიდან გამოთიშვა?

თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება, თუმცა პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეიძლება. შესაბამისი ბენეფიტებით სარგებლობა პროგრამაში ჩართვის დღიდან იქნება შესაძლებელი. პროგრამიდან გამოთიშვის შემთხვევაში კი, მონაწილეობაზე უარის თქმის თვით, ერთი წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი ავტომატურად გადამოწმდება

**P.S. როგორც სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს ხაშურის მუნიციპალურ სამსახურში განგვიმარტეს, დღეისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში, ამ პრობლემით, უკვე ასამდე ბენეფიციარია დასაქმებული.**

### მურმან ლებანიძე - ხაშურში

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში პარლამენტის არჩევნები დაინიშნა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. ხაშურის რაიონს ერთი დეპუტატი უნდა აერჩია. შეიქმნა კანდიდატმა გაიარა რეგისტრაცია, მათ შორის მეც ვიყავი. რაიკომს თავისი კანდიდატურა ჰყავდა, გამოჩენილი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე.



დავიწყეთ საარჩევნო კამპანია. მანქანა გვემსახურებოდა. დავდიოდით სოფლებში, უბნებში და მოსახლეობას ვაცნობდით ე. წ. ჩვენს პროგრამას, შეხედულებებს. პირველი შეხვედრა ხცისში გვექონდა. პირველს მე მომიწია გამოსვლა. დასაწყისში ვთქვი, რომ კანდიდატებს შორის არის ჩვენი დიდებული პოეტი ბატონი მურმან ლებანიძე და გთხოვთ მივესალმოთ მას. აქა-იქ დაუტრეს ტაში. ჩემმა სიტყვებმა, როგორც ჩანს, დანარჩენ კანდიდატებში უკმყოფილება გამოიწვია, და კიდევაც მითხრეს, „რადღა უცდი, ბარემ ახლავე მოხსენი კანდიდატურა მაგის სასარგებლოდ“. ალბათ ასეც მოხდებოდა არჩევნები, რომ არ ჩაშლილიყო.

საინტერესო იყო ბატონ მურმანის საუბარი. უამრავი მაგალითი მოიყვანა კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების შესახებ. ისაუბრა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზებზე. მიწა უნდა გახდეს კერძო საკუთრება და სხვა. დაახლოებით 10-15 წუთი ილაპარაკა. მსმენელი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ გებულობდა თუ არა რამეს, მაგის რა მოგახსენოთ. ჩვენი გამოსვლები (დანარჩენი ექვსი კანდიდატი) მოკლე იყო. ვამბობდით, რომ მხარს ვუჭერთ საბაზრო ეკონომიკას, დემოკრატიას, დამოუკიდებლობას და სხვა. ჩემი გამოსვლა მათგან განსხვავდებოდა იმით, რომ კატეგორი-

ულად ვუჭრდი მხარს მიწაზე კერძო საკუთრებას. ბატონი მურმანი აშკარად ღირსეული კანდიდატი იყო. გამოირჩეოდა დახვეწილი საუბრით. ზოგჯერ იუმორსაც ურევდა.

მიწაზე კერძო საკუთრების შეხედულებამ დაგვაახლოვა. რომ გაიგო ჩემი ქვიშხეთლობა, გაუხარდა, რამდენჯერმე ვარ ნამყოფი დასასვენებლად. ჩვენი ნაცნობობის გვირგვინი ქვიშხეთში შედგა. ამომრჩევლებთან შეხვედრის შემდეგ, ქვიშხეთის კულტურის სახლის მუშაკებმა ნანა კიკნაძემ, მედიკო კაკიაშვილმა და აზა ლაცაბიძემ მშვენიერი მაგიდა გაუწყვეს ბატონ მურმანს. რაიკომიდანაც იყვნენ სტუმრები. თამადა ოთარ ხაჩიძე იყო (ნათელში იყოს მისი სული). ეს იყო პოეზიის ზეიმი. აქ გამოჩნდა ბატონ მურმანი მთელი მისი ბრწყინვალეობით. რამდენიმე ლექსი წაგვიკითხა. გვიპასუხა შეკითხვებზე. რომელიღაც ხაშურელი შეეკითხა ავტობიოგრაფიულ ლექსზე: „მართლა გახადე გაყინულ გერმანელ ჯარისკაცებს შინლებიო?“ ერთი შეკითხვა მისი ცნობილი ლექსიდანაც იყო: გასრესილი ანწლის სუნი მართლა მოგენატრათო? მართლა ცუდი სუნი აქვსო? - აქეთ შეეკითხა. თამადა ოთარ ხაჩიძემ კი ყველა დაჩრდილა - რამდენიმე მისი ლექსი თქვა ზეპირად.

პოეტმა ისაუბრა იმპერიაზე, პატარა ერებზე. ზოგიერთი მისი ნათქვამი ახლაც მახსოვს: „გეოპოლიტიკაში მოქმედებს უბრალო ბიოლოგიური კანონები. ძლიერები ჭამენ სუსტებს, მიმდინარეობს უწყვეტი შესაბამისი შერჩევა. სახელმწიფო, ერთი მუდმივად განიცდის უნარაანობის შემოწმებას. დღეს ჩვენ განვიცდით ამას... ერთი ლექსიც წაიკითხა პატარა ერების შესახებ.

ერთი სტროფი ახლაც მახსოვს...  
 „გრიგალი ჰყვირის ჩემკენ! ჩემკენ! ჩემს გზაზე აქეთ!  
 ხართ სუსტები, მე ვინ ვარ შეხეთ!  
 რომელიმე ქარს სულერთია ხომ უნდა გაჰყვით!  
 დამნებდით მეყმით!  
 ასე ცხოვრობენ მსოფლიოში, ასე შიშქვეშ  
 პატარა ხალხები.“

კ. სუთიაშვილი

### წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება

ხაშურის I საჯარო სკოლაში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოება გაიმართა.

პროგრამის - „ჩემი პირველი კომპიუტერის“ - ფარგლებში, წელს პერსონალური კომპიუტერი ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლების 118 მოსწავლეს გადაეცა.

წარჩინებული მოსწავლეები ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მაკა დიდუბუღიძემ, I საჯარო სკოლის დირექტორმა მორის დანდურიშვილმა და რესურსცენტრის წარმომადგენელმა ლევან სადალაშვილმა დააჯილდოვეს.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოტივაციის ამაღლებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას ყველა ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოსწავლისათვის



### ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურად მიმდინარებს

უკვე განხორციელდა ძველი კონსტრუქციების დემონტაჟი, ამ ეტაპზე ხორციელდება ტერიტორიის მომზადება და სულ მალე დაიწყება სკვერის მშენებლობა.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია, ახალი შადრვენის მოწყობა, გარე განათებისა და დასასვენებელი სკამების მონტაჟი, მოეწყობა კალათბურთისა და სკეიტბორდის მოედნები, ახალი ატრაქციონები, ტრენაჟორები, დაიგება ქვაფენილი, იქნება მწვანე სივრცეები.

„პარკი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და ადგილობრივების საყვარელი დასასვენებელი სივრცეა, ამიტომ მისი კეთილმოწყობა მნიშვნელოვანია როგორც თითოეული მაცხოვრებლისთვის, ისე ქალაქის სტუმრებისთვისაც.“ აღნიშნა მიმდინარე სამუშაოების დათვალისწინებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი ინფორმაციით, პროექტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, ღირებულება კი 1 234 777 ლარს შეადგენს.

ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე არსებული პარკის რეაბილიტაცია ზაფხულამდე დასრულდება.

### საქართველოს ჩემპიონატი ეროვნულ ჭიდაობაში

ქართველი - ჭიდაობისა და ანბანის შესწავლას, ალბათ ერთდროულად იწყებს - ეს სიტყვები დიდ იაპონელ შოხო სასახარას ეკუთვნის და ამისი ნათელი მაგალითი იყო 18-19 - მარტს გამართული საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში -2009-2011 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ უღამაზეს ქალაქში - ხაშურში ჩატარდა. ეს იყო ქართული ჭიდაობის, ქართული ჯიშისა და გენის ზეიმი. 400 ზე მეტმა მოზარდმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა



რეგიონებიდან. ორი დღის განმავლობაში, დილიდან გვიან ღამემდე მიმდინარეობდა ჭიდაობა, დადლას ვერ შეამჩნევდით ვერავის. უყურებ ამდენ გულანთებულ ბავშვს და რწმუნდები, რომ ქართველობა არ გადაჯიშდება. ეს თაობაა საქართველოს მომავალი, ქართული ტრადიციების გამგრძელებელი. მაღლობა მასპინძლებს - ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის, მწვრთნელებს, მსაჯებს, მუსიკოსებს, ექიმს, გულშემოტყვივარს - ასეთი შემართებით, რომ ერთგულობენ ქართულ ეროვნულ საუნჯეს, ქართულ ჭიდაობას. ეს საწინდარია იმისა, რომ ქვეყანას ჯანსაღი მომავალი თაობა ჰყავდეს.

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია



— ხელოვნება —

**ზურაბ შეყელაშვილი: დონ კიხოტი ჩემი პირველი შვილივითაა**

რიკოტი სულელტეხილის დასაწყისში, ალბათ, ბევრ თქვენგანს შეუმჩნევია დონ კიხოტის რკინის ქანდაკება. საიდან მოხვდა აქ, ვის ხელს ეკუთვნის და რა იდეას ატარებს, ძალიან ცოტამ თუ იცის. ყველაფერი კი, ორი ათეული წლის წინ დაიწყო, როცა სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა, ზურაბ შეყელაშვილმა, ზაფხულის ერთი არდადეგები, დონ კიხოტის პერსონაჟის რკინაში გამოქანდაკებას დაუთმო. პირველი შეხება და ბრძოლა რკინასთან, წარმატებით დასრულდა. ამის შემდეგ, მის შემოქმედებით ცხოვრებაში, რკინა ქვის ქანდაკებებმა ჩაანაცვლა. თუ რა ადგილი უჭირავს დონ კიხოტს, მის ცხოვრებაში, ბატონმა ზურაბმა გვიპასუხა, რომ შვილივით უყვარს, პირველია და განსაკუთრებული. დონ კიხოტის ხაშურულ დაბადებას ასე იხსენებს:



—ხაშურში დავიბადე და გავიზარდე, მეოთხე საჯარო სკოლა დავამთავრე, ჩემი მშობლები და ნათესავები, დღესაც ხაშურში ცხოვრობენ. ბავშვობიდან მოდის ხელოვნების მიმართ სიყვარული და განსაკუთრებული დამოკიდებულება. სულ რაღაცის კეთების და შექმნის პროცესში ვიყავი. სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე, ქანდაკების სპეციალობით. მესამე კურსზე ვიყავი, როცა დავიწყე დონ კიხოტის რკინის ქანდაკებაზე მუშაობა. ზაფხულის პერიოდი იყო, ხაშურში ვიყავი ჩამოსული. სამი თვის მანძილზე ვაკეთებდი. მომწონდა სერვანტესის დონ კიხოტი, თავისი იდეით, გამონათქვამებით. ამიტომ ავირჩიე, სახასიათოც იყო, როგორც მოქანდაკისთვის. საინტერესო აღმოჩნდა, რკინასთან მუშაობის გამოცდილებაც არ მქონდა და ვცადე. უბრალოდ, ავდექი და დავიწყე კეთება. დამოუკიდებლად, მარტო ვიმუშავე.

**—სამუშაო სივრცე თუ გქონდა, ან შესაბამისი ხელსაწყოები?**

—პაპაჩემი დურგალი იყო იმ სახელოსნოში, სადაც მუშაობა დავიწყე ქანდაკებაზე. სამუშაო იარაღები და ხელსაწყოებიც ხელმისაწვდომი იყო. სამუშაო პროცესი, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, სამი თვის განმავლობაში, ბევრი რაღაცის სწავლა და მიგნება შევძელი, როგორც ხელოვანმა და, ერთგვარად, დიდი გამოცდილებაც აღმოჩნდა. შედეგითაც კმაყოფილი დავრჩი, ჩემმა პირველმა რკინის ქანდაკებამ ბევრ ნამუშევარს მისცა შემდეგ დაბადების შესაძლებლობა.




**—რაიმე სიმბოლური დატვირთვა თუ აქვს ქანდაკებას, რაიმე იდეას ატარებს?**

—ნამდვილად არ მიფიქრია, რაიმე იდეური დატვირთვა მიმეცა, მომწონდა, როგორც პერსონაჟი, საინტერესო იყო და თან საკუთარი თავი მოვსინჯე. როცა ქანდაკებაზე მუშაობა დავიწყე, კეთების პროცესში ვი-

ყავი, ტელევიზიით რომ გაკეთდა სიუჟეტი, 2003 წლის ზაფხული იყო, ინტერესიც დიდი წამოვიდა საზოგადოების მხრიდან. ახლა, თითქოს მივიწყებულია. თავდაპირველად, სახელოსნოს ეზოში იდგა, ორი წლის შემდეგ, მთხოვეს, იმ ადგილას გადმოტანა, სადაც ახლა დგას.


**—თქვენი შემოქმედებითი საქმიანობა როგორ გავრცელდა დონ კიხოტის შემდეგ?**

—მოქანდაკე ვარ, მუშაობა არასდროს შემიწყვეტია. ახლაც გამოფენა მიმდინარეობს დედიკას საგამოფენო სივრცეში, ოთხი ქანდაკება და ხუთი ხეში გაკეთებული რელიეფია წარმოდგენილი. გერმანიაში ვიყავი სასწავლებლად წასული, სხვა პრინციპებია სწავლის, დამოკიდებულებები, რაც ძალიან დამეხმარა, როგორც ხელოვანს, რომ ახალი გზები, ურთიერთობები მეპოვა, რაც ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია, ჩვენი პროფესიის ადამიანებისთვის. სხვადასხვა ერების წარმომადგენლებს ხვდები და სხვადასხვა კულტურებთან გაქვს შეხება. იყო ძალიან ბევრი გამოფენა და საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება. 13 წლის შემდეგ, ისევ ჩემს ქვეყანას დავუბრუნდი. გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ დღეს, საქართველოში, ხელოვანებს არ გვაქვს შესაბამისი გარემო, რომ ჩვენი პროფესიით შევძლოთ მუშაობა და თუნდაც განვითარება, ამიტომაც, რომ ძირითადად, გამოფენებზე ვამაქვს ჩემი ნამუშევრები, დაკვეთები, თითქმის არაა. ჩემი გერმანიაში წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ეგეც იყო, უნდა გადავრჩინილიყავი, როგორც ადამიანი და ხელოვანი.



**—რა ადგილი უჭირავს თქვენ შემოქმედებაში, დონ კიხოტს?**

—მიყვარს, პირველია, შვილივითაა. ჩემი პირველი დიდი ქანდაკებაა, რომელმაც ბევრი რაღაც მასწავლა. მოვდივარ და ვუყუარებ ხოლმე, არ ვიცი, ეს ემოცია, რამდენად გასაგებია სხვისთვის, მაგრამ განსაკუთრებული კავშირი და შეგრძნებები მაქვს. თუ მკითხავენ, შევცვლიდი თუ არა რამეს, ამ ქანდაკებაში, არაფერს, რადგან ამაში დიდი ფიქრი და სამუშაოა ჩადებული. საკმაოდ კარგი სკოლა გავიარე აკადემიაში, მერაბ ბერძენიშვილთან და მზად ვიყავი, სრულყოფილი ქანდაკება შემიქმნა. ფილმი გადაიღო იმ პერიოდში გელა კანდელაკმა, სადაც ეს ქანდაკებაც მოხვდა. მოსახლეობას ეკითხებოდნენ, ვისი ნამუშევარი იყო, არ იცოდნენ, ვის ეკუთვნოდა, ალბათ, არც დღეს იციან.



—იშვიათად ვლაპარაკობ ჩემს ნამუშევრებზე, მიჩრეხნია, ნახონ და შეაფასონ. ეს გარკვეულწილად, ჩემმა გერმანიაში ყოფნამაც გამოიწვია. როცა ენა არ ვიცოდი, ქანდაკებები ავამეტყველე ისე, რომ მათთან ქონოდათ დიალოგი მნახველებს, მათგან გავგოთ იდეა, ფორმა და ყველა ის უტრისი, რომელიც ჩადებული მქონდა. ჩემი სალაპარაკო ენა არის ის, რასაც ვქმნი, რასაც სიცოცხლეს ვაძლევ. ამაზე კარგი და გასაგები ენა, არ შექმნილა სამყაროში. ძალიან ბევრი ნამუშევარი მაქვს, რომელიც ზოგი სახელოსნოშია, ზოგი გერმანიაშია.

**—თქვენი სამუშაო სივრცე, გარემო როგორია?**

—გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, პატარა სახლი და სახელოსნო ავაშენე, რამაც საშუალება მომცა, ერთ სივრცეში შემიქმნა და განმეთავსებინა კიდევ ნამუშევრები. დიდი გამოფენებისთვის ვემზადები, ესაა ახლა ჩემი მთავარი საქმე. საქართველოში არ მიცნობენ, როგორც მოქანდაკეს.

**—თქვენი, როგორც ხელოვანის გეგმები თუ უკავშირდება ხაშურს?**

—ხაშურშიც სიამოვნებით გავაკეთებ გამოფენას, მინდა, ჩემი ქალაქი მიცნობდეს და მეხსიერებაში ვრჩებოდე, როგორც ხაშურზე შეყვარებული მოქანდაკე.

თამარ ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.  
 E-mail [Khashurismoambe2015@gmail.com](mailto:Khashurismoambe2015@gmail.com) მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.  
 P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.